



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ელიავა ღია შალვას ასული



ლ. ელიავა

ელიავა ღია შალვას ასული (28. V. 1934, თბილისი, – 7. IX. 1998, იქვე), კინომსახიობი. საქართვე. სახ. არტისტი (1975). დაამთავრა მოსკოვის ა. ლუნაჩარსკის სახ. თეატრალური ინტის სამსახიობო ფაკ-ტი (1955). 1956-იდან კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობი იყო, 1986–91 – საქართვე. კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის მდივანი. ე-მ ეკრანზე შექმნა ქალთა საინტერესო სახეები, რ-ებიც გამოირჩეოდნენ გრძობათა სინრფელით, არტისტული ინდივიდუალობით, ღირიზმით. მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ნინო („ჩრდილი გზაზე“, 1956), მზისა და მთვარისა („ბაში-აჩუკი“, 1957), ქეთო („ქალის

ტვირთი“, 1957), ზეინაბი („მამლუქი“, 1958), ნანი („განაჩენი“, 1959), ელიკო („შენყვეტილი სიმღერა“, საქართველო–ჩეხოსლოვაკიის ერთობლივი ფილმი, 1960), ანა ცალიკოვა („ირისტონის შვილი“, 1960, „ლენფილმი“), ირმა („ჭიაკოკონა“, 1961), ანა („სალამო მშვიდობისა“, 1962, „მოსფილმი“), ლეილა („ზღვის შვილები“, 1964), ქეთო („მე ვხედავ მზეს“, 1965), ნატო („მალე გაბაფხული მოვა“, 1967), მელიტა („ქალაქი ადრე იღვიძებს“, 1967), თაკუე („ძმები საროიანები“, 1969, „არმენფილმი“), საიალი („სალამურის ხმა“, 1975, „აზერბაიჯანფილმი“), ღია („არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ“, 1976), მსახიობი ამირეჯიბი („სინემა“, 1977), თიკო ორბელიანი („დათა თუთაშხია“, 1978), თინათინ დედოფალი („ნიგნი ფიცისა“, 1983), ანა გრუზინსკაია („ბაგრატიონი“, 1985), რუსუდანი („ორომტრიალი“, 1986) და სხვ. ე-ს შემოქმედებისათვის დამახასიათებელია მაღალი პროფ. კულტურა და ოსტატობა. დაკრძალულია ქართვე. მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.
